


მწერებისი



მი ვარ მწერები ქეთილი; მწერებიან კათოლიკან სულა ღვიძი
დაჭიდვის ცხოვართაობის. (მათ. 10—11).

გვივე ცხოვარი ჩემი წარწერებულია. ესრეთ იყოს სიხარული
ცათა შენა, ერთისათვის ცოდვალისა. (ლუკ. 15—4).

მოველით ჩემდა ყოველნი მაშერლინ და ტვირთ-შიმენი
და მე განვისვენო ზედენ. (მათ. 11—28).

№ 18

1883—1893

30 სექტემბერი

ვ აზე თი ს ფ ა ს ი:

„მწერები“	„მწერები“
12 თვით . . . 5 მნ.	12 თვით . . . 6 მნ.
6 — — 3 — 6 — : . . 4 —	

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:
ვა რედაქციი „Mikemci“ უ დასახლდება.
Bz კეცისა, ვა რედაქციი „Mikemci“ უ დასახლდება.

რა მდგომარეობა მია სწავლა-აღზრდის საქმე
საქართველოს საექსპრესოს სასულიერო
სასწავლებლებში?

(გაგრძელება *)

წინა წერილში ჩენ მოვიყენეთ ოფიციალური
და სარწმუნო ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ
მიღის სწავლის საქმე თბილისის მართლ-მაღიდებელ
სასულიერო სემინარიაში, რომელიც ერთად ერთი
საშუალო სასულიერო სასწავლებელია მთელს სა-

ის. „მწერები“-ს მე-17 №, 1893 წ.

ფულის სტატიები და კორრესპონდენციები, რომელიც
იქნებან დასახელდებათ გამოგზავნილი გრულად და გასაგე-
ბად უნდა იყნენ აკტორთან ხელ-მოწერილნი.
სტატია, რომელიც არ დაიხელდება, სამი თვეში განმავ-
ლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯათ უკანვე დაეპრენოს.
სტატიები მიიღებინ სუსულა ენაზე დაწერილნიც და
თარგმნით დაიხელდებან.

ქართველოს საექსპრესოში. ამ ოფიციალური
წრობებიდან სხინს, რომ ამ სამი უკანასკნელი წლის
განმავლობაში სწავლის, საქე ჩენს სემინარიაში
თან-და-თან უნან იწყეს. სახელიდამ 1890%, წელში
წარმატებით მოსწავლე მოწაფეთა რიცხვს შეაღვენდა
66,5% ხოლო უარის მოწაფეთა რიცხვს 33,5%
შემდგ. წელში წარმატებით მოსწავლე მოწაფეთა
რიცხვი იყო 56,4%, ხოლო უარის მოსწავლეთა
რიცხვი 43,6%; წელს კი წარმატებით მოსწავლეთა
რიცხვი 44,6%; ხოლო უარის მოწაფეთა
რიცხვი 55,4%. სამწუხაროდ დღეს ჩენ ხელთ
არა გვაქნეს ნამდებილი ოფიციალური ცნობები, თუ
როგორ მიღიოდა წინა წლებში სწავლის საქმე ჩენს

სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებლებში, რომელნიც ექვემდებარებიან თბილისის სასულიერო სემინარიას, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ამ სასწავლებლებშიაც წარმატებით მოსწავლე მაწაფეთა რიცხვი თან-და-თან კლებულობს. ჩას უნდა მიეთვროთ ამისთანა სამწუხარო მოვლენა? ჩვენი მასწავლებლები ამ ს-მწუხარო მოვლენის მიზეს სხვა-და-სხვა დროს სულ სხვა-და-სხვა ნაირად ხსნილენ.

ერთ დროს სწავლის საქმის ცუდად მსვლელობის მიზეზად ასახელე დწენ მასწავლებლების მოქმედებლობას და მათი ნივთიერი მდგრამარეობის შესაფერად განუკარგებლობას. უმთავრესად ბრალს სლებდენ მასწავლებლებს, რომელთაც შარტო სემინარიაში ჰქონდათ სწავლა დამთავრებული და ფიქრობდნ, მასწავლებლობა მარტო აკადემიაში სწავლა-დამთავრებულ პირთ შეეძლოთ. დღეს ჩვენს სემინარიაში ყველა მასწავლებლები უმაღლეს სასწავლებლებში არიან. ხოლო ჩვენს ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში სემინარიები მარტო მოსამზადებელ და პარალელურ განყოფილებებში თუ არიან დღეს მასწავლებლად, თორებ სხვა კლასებში აკადემიელებია. ჯამაგრიებიც აკადემიელებს ისეთივე ეძლევათ, როგორც გერმანიის მასწავლებლებს და ჯამაგრის გარდა ხალდის-ხან სახურებრისაც იღებენ იმ ფულებიდამ, რომელიც შემოდის სასწავლებელში ერთს კაცების შეიღების სასწავლებელ ფასად. მაშა ხაღამე ზემოთ დასახელებული მიზეზი დღეს სრულიად უსაფუძვლოა და მოკლებულია სიმართლეს.

როცა ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში მარტო სემინარიელები ასწავლიდნენ, ბევრსა სწერდნ იმ პირთ წინააღმდეგ, რომელნიც ამტკიცებდნ, რომ კადემიის «დიპლომი» სრულებით არ არის იმსი უტყუარი საბუთი, რომ მარტო მის მექონეს შეეძლოს კარგი მასწავლებლობა და სემინარიელს კი არა. ეს პირნი ამტკიცებდნ, რომ მასწავლებლების დაფასების დროს სახეში უნდა ვიქრნიოთ მოწოდება და სიყეარული მასწავლებლისა თავისი სამისადმი და არა მარტო ერთი აკადემიური «დიპლომი». მაგრამ ბევრს არ სწამდა და არც დღეს სწამს ეს ჭეშმარიტება, რადგან ეს ჭეშმარიტება, ზოგიერთების აზრით, ამტკიცებს აკადემიაში სწავლა-დამთავრებულ პირთ სემინარიელების წინაშე. ზოგიერთს ვერას გზით ვერ დარწმუნებ, რომ კარგად

მომზადებულ სემინარიელს ისეთივე წარმატებით უჭილია ასწავლოს ოთხ-კლასიან სასწავლებლებში უყვლა საგნები, როგორც აკადემიელს. როგორ დაარწმუნებთ ზოგიერთ აკადემიელს, რომ კატეგიზოს, სამშრო ისტორიის და არითმეტიკის სწავლების საქმისათვის აკადემია ისეთ არ იძლევა, რომელიც არ იციდეს სემინარიელმაც. ერთი და იგივე საქმისა და შრომისათვის ერთს ეძლევა მომეტებული ჯამაგრი და მეორეს ნაკლები. თუ ადგილს და შრომას ენიშნება ჯამაგრი, მაშინ როგორც აკადემიელს, ისე სემინარიელს ერთი და იგივე ჯამაგრი უნდა ეძლევოდეს და რომ სემინარიელები აკადემიელებზე ნაკლებად არ მუშაობენ ჩვენს სასწავლებლებში, ამას ცხადათ ამტკიცებს უწმ. სინდიდიგან და ჩვენი სემინარიიდამ დანიშაული რევიზორების ანგარიშები (ითხეთ).

აკადემიაში სწავლა დამთავრებული პირნი ისე გამრავლდნ, რომ დღეს ბევრი მათგანი უადგილოდ დადის, რადგან სემინარიებში და ოთხ-კლასიან სასწავლებლებში ადგილი აღარ არის თავისუფალი, რომ მათ მისცონ. ამიტომ ამას წინეთ უწმიდესმა სინოდმა გამოიუჩადა აკადემიელებს, რომ მათ დროებით დაეჭირათ მასწავლებლის ადგილები საეკჯლესიო-სამრევლო სკოლებში და ეს სამსახური ჩაერიცხებოდათ მათ სამსახურში. აქ უნდებლივთ გაგონიდებიან საწყალი სემინარიელები, რომელნიც კაი ხანი მსახურებდნენ და დღესაც მსახურებენ ოთხ-კლასიანი სასწავლებლების მოსამზადებელ კლასებში; ამ მასწავლებლებსაც ისე უკლებონენ ჯამაგრიიდამ პენსიისათვის 2%, როგორც სხვა მასწავლებლებს და მხოლოდ ამ ბოლო დროს შეიტყვეს მათ, რომ მოსამზადებელი კლასების მასწავლებლებს პენსია არ მიეცებათ, მხოლოდ მათგან დატოვებული 2% გამოუანგარიშეს და დიდი ხნის მათი მუჟიათი და სასაჩვენებლო სამსახურის ჯილდოდ უკანვე დაუპროცეს.

ნუ თუ ოთხ-კლასიანი სასწავლებლების მოსამზადებელ კლასებში სამსახური ნაკლებია საყკლესიო-სამრევლო სკოლებში სამსახურზე? ამ საგნის შესახებ ჩვენ სხვა დროს მოველაპარაკებით მკითხველებს და დღეს კი ისევ ჩვენ უმთავრეს საგანს დაუბრუნდებით:

რადგან აკადემიაში კურს დამთავრებული ისეც ბევრნი იყენენ, სემინარიელებს ვინდა მისცემდა მასწავლებლების ადგილს ოთხ-კლასიან სასწავლებლებში. თითქმის უყელა ადგილები აკადემიელებმა დაიკავეს

სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებლებში. სამღებელოებას მოვმატა ხარჯი სასულიერო სასწავლებლის შესანახავად, მაგრამ სამღებელოება დაიმედებული იყო, რომ ნაცელად სწავლის საქმე კარგად წავიდოდა. მაგრამ სტატისტიკური ცნობების სულ სხვას გვიმტკიცებს.

ერთ დროს სემინარიის მასწავლებლები უკანვე აბრუნებდნენ თოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულ ყაზვილებს და სემინარიის არ იღებდნენ, რადგან მოსახლეობული თოთხ-კლასიან სასწავლებლებში სემინარიაში სწავლა-დამთავრებულ მასწავლებლებისაგან. ამის გამოც საჭიროდ დაინახეს, რომ თოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში მასწავლებლად უსათუოდ აკადემიურები დანიშნულიყონ. დღეს მართლაც უმეტესად აკადემიულები არიან დანიშნული მასწავლებლად თოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში. ამის შემდეგ მოსალოდები იყო, რომ ჩევნო სემინარიაში უფრო ბევრ კმარტვილებს მიიღებდნენ თოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლიდამ. ამ ბოლო წლებში სემინარიის პირველ კლასში შემსეღლებ პირთათვის ეგზამენტიც მოსპეს და თოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლების სამართლელოებს მიანიჭეს უფლება აღრიცხიათ სწავლა-დამთავრებულ მოწაფეთა შორის საუკითხო მოწაფები და გაეგზავნათ სემინარიაში, სადაც ასეთ მოწაფებს გამოუყდელად იღებინ. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩევნო თოთხ-კლასიანი სასწავლებლების სამართლელები ძლიერ ცოტა კმარტვილებს აგზავნან სემინარიაში. ექვსი სასულიერო სასწავლებლების მეოთხე კლასში 215 ლეწაფე ყოფილა წელს. სახელმობა: თავილისიაში 30, ქუთაისიაში — 75, გორისიაში — 23, თელავისაში — 20, ახალ-ცინკაში — 37 და ოზურგეთისაში — 20. ამ 215 მოწაფეში ჯეროვანად მომზადებული და ღირსი სემინარიის პირველ კლასში გასაგზავნად აღმოჩენილა 94, ანუ 44, 3%, ხოლო 121 მოწაფე ე. ი. 55, 7% უცნად მოწაფების და უარგისად სემინარიაში და გასაგზავნათ.

არ შეძლება სთქვას კაცმა, რომ სასწავლებელ-ში კარგად მიღიოდეს სწავლა-დამთავრებლის საქმე, როცა უარგია მოსწავლეთა რიცხვი აღმატება წარმატებით მოსწავლეთა რიცხვს. პირველად გასაოცარი ის არის, რომ ძეოთხე კლასებში უველვან მოსწავლეთა რიცხვი ნაკორებია სხვა კლასებთან შედარებით. წელს ჯელა

ჩევნოს თოთხ-კლასიან სასწავლებლებში სწავლა შესრულებია 215 მოწაფეს და მათგან მარტო 94 მოწაფე უკაცენიათ ლიტერულად სემინარიის პირველ კლასში გასაგზავნად. მაშასადმე ჩევნო უფლება გვაქვს, ვიფიქროთ, რომ სემინარიაში გასაგზავნად აღმოუჩრჩევით მოღლოდ ღირსეულნი და ნიჭიერნი მოწაფები *). ასეთი დიდი გამჭვირიახობით აგრძენილ მოწაფებს სემინარიის პირველ კლასში წინა წლებშიაც. იმდენ გვერდა, რომ თოთხ-კლასიანი სასწავლებლის სამშართველოებსაც ასე წინდახედეთ აღმოჩენელნი მოწაფები წარმატებით ისწავლილნენ სემინარიაში. არა ვის არა აქვს უკლება სთქვას, რომ თოთხ-კლასიან სასწავლებლებიდამ გაგზავნილი მოწაფები მოუშაადებელნი იყნენ და არ შეძლოთ სწავლა სემინარიაში. მაგრამ საქმით კი სულ სხვა სამწუხარო ფაქტებს ეხედავთ. თოთხ-კლასიან სასწავლებლებიდამ გაზარდილი საუკითხო მოწაფები მაინც კიდევ ძლიერ ცუდად წავლობდნ სემინარიაში და ცუდად მოსწავლე მოწაფეთა რიცხვი უკველ წლობით მატულობს.

ავილოთ სემინარიის პირველ კლასში მოსწავლეთა სიები და გადასინჯოთ.

1890/1 წ. კრგად სწავ. 64,9%; ცუდად სწავ. 35,1%.

1891/2 — 52,2%; — 47,8%.

1892/3 — 36,4%; — 63,6%.

დაუთხოენიათ სემინარიიდამ 91 წელი — 5,1%;

92 წ. — 8,3%; ხოლო 1893 წ. — 27,8%.

სწორეთ საკვირველია, რომ უმეტესი ნაწილი მოწაფებისა ცუდად სწავლობს და ეს რიცხვი, სამწუხაროდ. ყოველ წლობით მატულობს!...

რა არის ამ სამწუხარო მოელენის ნამდეილი მაზეზი? ზოგიერთები ამ ნორმალური მოვლენის მიზანზე შეძლებს ასხელებენ: საქართველოს საქართველოს მომართველობა რუსეთს, ეს მხარე დასახლებულია სხვა-და-სხვა თემით, რომელიც სხვა-და-სხვა ენაზე ლაპარაკობდნ, აქაური მყენილი ძნენალდ ითვისებს რუსულ ენას, სამღებელოების შეიღები ხეირიანად არ არიან მომზადებულნი და გონებითაც ნაკლებნი არიან და სხვა... სწორეთ

*) სემინარიის პირველ კლასში გაგზავნილ მოწაფეთა შორის 61 მოწაფეს გაუთავებია სწავლა პირველი რიგით (პავრება), ხოლო 33 მეორე რიგით. ეს ცნობები ამ 189%; სამსწავლო წლისა არის. მაგრამ არც წინა წლებში ყოფილა სემინარიის პირველ კლასში გაგზავნილი ამაზე მომზადებული მოწაფე.

ამავებში წელეუნ ზოგიერთი მასწავლებლები მის მიზეს, რომ ჩევნს სასწავლებლებში სწავლა-აღზრდის საქმე ასე ცუდათ მიღის და ამათ იმართლებენ თახაც. მაგრამ რამ დანათაც ეს საბუთები საფუძვლისა, ამაზე შემდეგ მოველაპარაკებით მკაფიოდეს.

და. დ. ლაშაშიძე

(შემდეგა ქვემდება).

სოხუმის ახალი ეპისკოპოსი პეტრე.

ჩევნმა მკონხელებმა უკვე უწყიან, რომ სოხუმის ახალ ეპისკოპოსად დარიმნა კიევის სასულიერო სტანარიის რექტორი არქიმანიტი პეტრე. მოგვაც ზოგიერთი ბიოგრაფიული ცნობები ყოვლად სამღვდელოს პეტრეს შესახებ: ყოვლად სამღვდელო პეტრე მობიდამ არის 35 წლითა. მაშაადამე მათი მეუფება რესეთის ეკკლესის ყველა მღვდელ-მთავრებზე ახალგაზიდაა. იგი დაბადებულა და აღზღიული მოსკოვში, იგი არის შეილი კოლლეგეს სერეტრისა და ერის კაცობაში ეძახდენ ალექსი ნიკოლაზის ძეს დუგოვს. მას პირველად სწავლა დაუმთავრებია მოსკოვის მეორე კლასიკურ გიმნაზიაში 1877 წელში და იმავე წელში შესულა მოსკოვის უნივერსიტეტში ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე; აქ სწავლა დაუმთავრებია 1881 წელში კანდიდატის ხარისხით და როგორც უნივერსიტეტის ერთი საუკუთხო მოწავეთაგანი, იგი დაუტოვებიათ უნივერსიტეტშივე. რომ მოპზადებულიყო პროფესორის თანამდებობისათვის. 1883 წ. კანდიდატს დუკოვს შევენირად დაუჭერია ევგზამენი და მიუღია მაღისტრობის ხარისხი.

1884 წელს ალექსი ნ. დუკოვი აღკვეყილა ბერად და სახელად უწოდებიათ პეტრე; შემდეგ მასლე უკურთხებიათ მთავარ-დიაკონად და ბერ-მონაზენად და მუ უკათ ლექციების მოსამენად მოსკოვის სასულიერო აკადემიაშა, მეოთხე კურსის სტუდენტებთან ერთი ისტორიულ განყოფილებაში.

ის უკურთხი გამოცილი და დაწესებული თხზულების დაწესებული შემდეგ ბერ-მონაზონ პეტრესთვის აკადემიის რჩევას მიუცია ლეთის-მეტკუფელების ხარისხი და ერთი წლით დაუტოვებიათ აკადემიაშივე პროფესორის თანამდებობაზე მოსამსახურებლად.

1885 წელში ბერ-მონაზონი პეტრე დაუნიშნავთ ვიფანის სემინარიის ინსპეკტორად, ხოლო 1889 წელში ვლადიმირის სემინარიის რექტორად და აუც ვარით არქიმან-ღრიტის ხარისხზედ. 1890 წელში გადასული მოსკოვის სასულიერო აკადემიის ინსპექტორის და პროფესორის თანამდებობაზედ, აკედგან 1892 წელში იგი დაუნიშნავს კიევის სასულიერო სემინარიის რექტორად.

კიევის სასულიერო სემინარიის რექტორად მყოფიბის დროს ყოვლად სამღვდელო პეტრე ყოფილა ადგილობრივ სასულიერო ეროვნალის «РУКОВОДЕСТВО ДЛЯ СЕЛЬСКИХ ПОСТЫРЕЙ»-ის რედაქტორად. ამ ეროვნალში იმპედებოდა მათი მეუფების სტატიები და მოძღვრებანი. აგრეთვე ცალკეულ დაბეჭიდილი ზოგიერთი მისი ნაწერები.

„მჯევმის“ პორტალის დამზადებელი

სოფელ თბილის.

სეირის რკინის გზის სადგურითან სამხრეთი სქეს სოფელი ობჩა, მოგბარეობა და ჰაერი ამ სოფელისა ძლიერ კარგია. ლეგენდის ამ სოფელში ბლოკი მაღალი დღიური, მაგრამ დღეს, ჩევნდა სამწუხაროდ, თითქმის ყველა მემამულების ვენახებში (ფილოქარის დასის გამოკელებით) ფილოქარია აღმოჩნდა. დიდ დარღმა არიან აქაურნი მცხოვრებია ამ სეირისაგან, რადგან ლეინია ამათი ერთად ერთი სიმღიდრე. წელს მეტის მეტი გვალფისაგან ამ სოფელს, როგორც საზოგადო ზემო იმერეთს, შეშილი მოელის. სიმღიდი თითქმის ეხლავე ჩალად აჭრეს, რაღვენ ტაროს აღარ იყოთებს. პურს აქ იშვიათად სთესენ. შეცხოვებინ ამ საფლასა დიდ შიში იყვნენ და არიან, რომ ამ დიდ გვალფას შარშანდულად დაუპატიჟებელი სტუმარიც—ხოლორაც არ მოყენო. ველა მახლობელ სოფლებში მოხელეები და ნამეტულ მღვდლები ზომებს დებულობენ შესახებ ხალხის სუფათად ცხოვრებისა და სმა-ჭამისა. მაგრამ ობჩა-კიამგვარ მოხელეებს და ნამეტურ მღვდლებსაც, კაიხანა, მოკლებულია. მეტათვის უკანასკელს ჩილ-ვებში ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ, ერთი გლეხის მეუღლა გარდაიცვალა, რომელიც წყალმა-კიო იყო ავათ; ჩევულებისამებრ მიკვალებული საძილები და სახლში ენერგია, და რაღაც მეოთხე დღე თბილისათვის იყო, მიკვალებული მღვდლის რჩევით და თანხმობით ერთი დღე და ღამე ეკკლესიაში დღას ვერეს; მიცალებული სიცაცხლეშილდე ცუზი სეირისა და მოუკლელობისა გამო ჰყარდა და შემდეგ თხისი

დღისა სრულიად დაშალა და წყლათ იქცა. იატაკი ეკლესია ცემენტით ითვლება, მაგრამ უმეტესი ნაწილი აღისა არის. წყლათ წასრული მყრალი სუნი მიცალებულისა იმოდენათ გაუჯდა ეკლესის იატაკს, რომ დღესაც სჭირს შიდ გაჩერება. როდესაც მიცალებული ეკლესიაში ესენა, ისეთი სათ-ცარი სუნი იდგა მთლათ ეკლესის გალავანში, რომ მ-ხლობლათ მაძიებრი ღორები გალავანში დ მოგროვდნენ (ეკლესის გალავანი არა აქცი) და თვალით რომ ეერას ხედავდნენ, ეკლესიაში მიც-ეიოდნენ, რომ კლიტებოლქომს არ შეეჩრდია. დღესაც მიცალებულის სამარე ღორები არის შეერ-გული, რადგან ღორები საფლავის ამოთხრას პირებდნენ. მიზეზი ამცენაზის მოქმედებისა ის იყო, რომ ჭრის სუფლების აზრით ოთხშათათი დღე ნაკიანია და ამ დღეს მიცალებულის დასაულავება არ შეიძლებათ და მღვდელმაც ამ აზრს ბანი დასტა. ეს საზიზღარი სუნი იმოდენათ გაძლიერდა ტაძრში, რომ მთელი მა-რიმობის მარხევ მაზიანებელმა ხალხმა უმეტესი ნა-წილი ეკლესის გალავანში გაატარა და არა ეკლე-სიაში. 6 მარიამობისთვეს ერთს მაზიარებელს პატივ-ცემულსა აღამინს გულის რევა აუტყდა, ნუ თუ ეს საზიზ-ღარი გარემოება არ შეეძლო აუცილებელია ძღვდელს მრეველისთვის? ნუ თუ შესაძლებელია ესეთი ცრუ-მორწმუნეობა მღვდლისაგან, როგორც ოთხშაბათის ნაკიანობა? ესეც რომ ასე იყოს, ხოლორის შეში მანაც უნდა ჰქონოდა, რომელსაც ყოველ მხარეზე ერიდებიან და დიდის სისუფთავით ეგებებიან.

შეგვიძლია თამაშათ ესთქაო, რომ მრეველი სსენებული ეკლესისია იმოდენათ ღარიბი არ არის, რომ ეკლესა ვერ შელობონ, ხის სალობავის მაგიერ, ქვით-კირის გალავანიც შეუძლიათ აფინ, მაგრამ მრეველი მწყემსი არა ჰყავს. აქედან დაინახას შვითხველი, რომ მღვდელი კ—ძე არ ასრულებს ოავის მოვალე-ობას პარნათლად. მღვდელს, რომელსაც მეტი და-მოკიდებულება და კავშირი აქცი ერთან, თუ პირნა-თლად უძღვის თავის მოვალეობას, შეუძლია დიდი სიყვარული და თანაგრძნობა დამისახურის და საყუ-რაღებო ჰერმოქმედება იქნიოს ერთე, მაგრამ ამას საბწუხაროდ უურალებას არ აქცევს ჩევნი მღვდელი. დიდი ხანია, რაც მღვდელი კ—ძე იმყოფება სოფ. ობჩაში და კაცს არ გაუგონია, რომ მას საუბარი გაემართოს მრეველთან რამე საქველ-მოქმედო საქმე-ზე. მას არასოდეს არ მოჰყოქობია მრეველთან მოლა-პარაკება უკანასკნელ ეკლესის შელობის შესახებაც.

ჩევნის აზრით კარგი იქნება უურაღებას მაქ-ცეველენ, ვისიც ჯერ არს, და შემდეგისათვის მანაც აღუკრძალებულ მღვდელს კ—ძეს სიცხვებში მიცა-ლებულის ეკლესიაში დღი ხნით დასვენებას.

ილ. სვ. ჩ—ძ.

მღვდელი გილორე დუმბაძე.

„მწყემსი“-ს რედაქციამ დამავალა, რომ შემეკ-რიბა ცნობები განსვენებულ მ. გიორგი ღუმბაძის ენაობასა და ავ-კარგიანობაზე. მ. გიორგის შესახებ მეც ბევრი რამ ეკული და გამეგონა, მაგრამ რაც არ ვიციადი, იმის შეტყობაც მოეიწადინ, შეურდა უნკულულიდ აღმეწერა იმისი ხასიათ, ზე-ჩერებულება, ნაკლი და ღირსება. სხვათა შორის მიუცილებელ საჭიროდ ეთვლიდი აღმე-ნიშნა ლრა იმისი მღვდლად კურთხევისა, ვისგან იყო ნაკურთხი და რომელს წელს გარდაცვალა. უცელა ეს ცნობები უსთხოვე წერილით გურიაში ერთს პა-ტრიცემულს მოძღვარს, რომელმაც, როგორც, ვაუ-მ. გიორგი ღუმბაძის გარემოება კარგათ უნდა იცო-დეს. სამწუხაროდ, ლოდინი და ცდა ცდათ შემრჩა და წერილის პასუხს ვერც აქცია და ვერც კარგს ვერ ვეღიანს. ამ დაგვიანების მიზეზით რედაქციამ რაც ცნობა პქონდა მ. გიორგიზე და აგრეთვე იმისი სუ-რათიც უკვე დაბეჭდა. მაგრამ, ვეონებ, უმნიშვნელო არ იქნეს, რომელიც მნაცველმა, რაც თეოთონ ვიცი და საჩრდენო პირთაგან გამიგო-ნია მ. გიორგიზე გაუზიარო 『მწყემსი』-ს პატივცე-მულს მეტოხელებს. გურიის შატრაში, შემოქმედის მონასტრის გალავანში, თითქოს მინასტერზედედე მი-შენებულია სოფლის შემოქმედის სამრეველო ეკლე-სი, რამელსც დეთავის ეკლესის ეძახიან. ი ამ ეკლესის მრეველის მღვდლად ითვლებოდა უცელასა-გან პატივცემული განსვენებული მ. გიორგი ღუმბაძე. მთელი გურიის საზიგადოება დის პატივს სკუმრა განსვენებულს მოძღვარს. ის იყო მტკიცე და შეურ-ცეველი ხასიათის; იყო ზედ მიწევით მცოდნე საღვ-თო წერილისა და გალობისა და, ეს მისი საცეკი-ლური ხაგანი, ბენებით ენაზე განვითარებული გო-ნება ყევლასთვის ფას დაუდებელი იყო. იმისი სახლის კარები სწავლის მსურეველთათვის მუდამ ღრა იყო, ვინც და რომელი წილებისაც უნდა ყოფილიყო იგა. ნამეტურ ვისაც ნიჭს შეამჩნევდა სწავლისას, ის იყო იმისი მხიარულების საგანი; მისი ღარიბის პურის ჭამა ყველა ამგერა პირთა საზიარო იყო! შენ-ჩემობა სძულდა. არ უყვარდა აგრეთვე მჭერიმეტყველება, იყი თავის მრეველს, ორი-სამი სიტუაცით ღაჯერებდა,

რაც საჭირო იყო. ჩასაც იტყოდა, ისე აქებინათ და გარკვევით იტყოდა, რომ შეუძლებელი იყო იმავე წამში კაცს ხსოვნის კოლოფში არ ჩაეყერა. ღილი შეუძლენარი უნდა ყოფილიყო ის, ვინც იმის ნათებებში ვერ დაიმახსოვრებდა; თუ მოხდებოდა, ამში ერთხელ, რომ მის სიტყვას პირველი თქმისათნავე ვერ მიითხესბდა, ვისაც ეუბნებოდა, ამ შემთხვევაში ასე ეტყოდა ხოლმე: ამას უთუოდ მონათვლა აკლიაო. იმისი მტკიცე და შეურეველი ხასიათი იმაში გამოიხატება, რომ ყოველს წოდების კაცს, ვინც უნდა ყოფილიყო იგი: თავადი თუ აზნაური, ერის კაცი, ბერი, მლედელი და თუკინდ თეთი მლედელთ-მთა-ფარიც, რაც სათქმილი ქონდა, დაუფარავად, გამე-დეით და თითქმის ბრძანების კილოთი ეტყოდა. ამ გარემოებაში თეთი ტანის ახოვნება და სახის მოყვა-ნილობაც ხელს უწყობდა განსუკრებულს; როგორც შისი სახისაგანაც დაინახავდა მყითხველი, მისს საქმაოდ ტანის ახოვნებასთან თავისა და პირის სახეც ახოვანი ტანის შესაღარი ჰქონდა. მაღლა ახელე არ უყვარდა და მუდამ დაბლა იცოდა მზერა; თეალის ქუთუთო-ები წარბის გრძელი ბეწევებისაგან თითქმის დაფარული ჰქონდა. ლაპარაკის დროს მხილოდ ხან-და-ხან შე-მოგხედავდა კაცს, მაგრამ მისი სახის გამომეტყველება და თვალების მრისხანედ გაღმოხედეა თითქმის შეგრ-ჟირობდა, გავანტულებისაგან გაგანთავისუფლებდა, გონებას მოგიკრებდა და რაღაც ცნობის მოყვარედ გარდაგმნიდა; ეს იყო მიზეზი, რომ ყოველს მის ნათებებს დაერთად იმახსოვრებდა ყველა.

მ. გიორგი ზრუნავდა თავისი მჩევრის სუ-ლიერი და ხორციელი კეთილ მდგრამარეობისთვის. წირვა-ლოცვა ძალიან უყვარდა და შემოქმედის მო-ნას აკრებში თუ ვინმე კანონიერად ვერ წაიკითხავდა წიგნს წირვა-ლოცვის ღროს, ვით იმისა ბრალი! ვინც უნდა ყოფილიყო იგი, მაშინვე მიაძახებდა და თავის შეცდომას უსწორებდა. იქნება ასში ერთხელ მო-ნასტრის არქიმანდრიტის გაბეჭნა მისთვის და ეთქვა: «მ. გიორგი, საზოგადოებაში შერტვება, ისე რომ შეუძახებ კაცს ისე ცოტა შეცომისთვისო». მ. გიორგიც ესეთს პასუხს მიუვებდა: «არა, მ. არხიმან-დრიტო, ღმერთთან ტყუილის თქმა კაცს არ ეპატი-ვება; ერთი ეს და მეორე: ერთხელ რომ შერტ-ვება, მეორეთ დაუკირდება და კითხვაში სიცრუეს ალარ იტყვისო». ასე ამ რიგად მრავალი მწიგნობა-რი გაუწითლებია სირტვეილისაგან და თუ კარგათ

თავის იმედი არ ჰქონდა ვისმე, ისე მ. გიორგისთან წიგნის წაკითხვას ვერ გაბედავდა. ამ საგნის შესახებ აქ დაგასახელებთ მხოლოდ ორს მაგალითს მისი ც. სიათის გამომხატველად: შემოქმედის მონასტერში, ერთი მლედელ-მონაზონი თურმე ასრულებდა ღამის-თვეის ლოცვას და როდესაც უნდა ეთქვა: „დიდება შენდა, რომელმან მოგვინე ნათელი!» ამის სამაგიერ-როდ შეცომით ასე მოუყიდა თურმე თქმა და დას. რულება: «დიდება შენდა, რომელმ.ნ მოგვევნე!» მ. გიორგიმ მაშინვე მააძა: რა მოგვინა, რა მოვე. ფინანს? ამ ღროს მლედელ-მონაზონი მისვდა თავის შეცომის და პასუხად მისუა: «ნათელი». მეორე შემთხვევას მე თეთონ დადგესწარი, როდესაც თუმცა ყაზარები ეყიდვი, მაგრამ ეს შემთხვევა კი ხსოვნაში დამრჩხი: ერთი მიცვალებული მლედლის დასაფლავე-ბაზე მიწევული იყო განსუკრებული გურიის ეპისკო-პოსი გაბრ. ყოველად სამლედელო სდგას თავისი კრე-ბულით მიცვალებულის კუბოსთან; დაიწყეს წესის აგება; როგორც მოგეხსენებათ მლედლის წესის აგება ცოტათ ძნელი წასაკითხავა. კითხულობდა ორი მლედელი მიმოგდებით, მაგრამ ერთმა მლედელმა ცო-ტათი კოჭლობა დაიწყო კითხვაში. ეს როგორც შე-ნიშა მ. გიორგიმ, რაღაც უმაყოფილოთ გარდა-ხედა მლედელს, მერმეთ ერთი მლედელთ-მთაერისე-ნაც გარდმოიხდა იმავე სახით და უცათ კაბის ჯიბისკენ გაიკა ხელი! ამოილო სათვალე, გაიკეთ-და მლედელს კურთხევანი ხელიდან გამოაცალა! უთხრა: «არ გცოლნია» და თეთონ დაიწყო გარტ-ვეებითა და რეხინის ხმით კითხვა. ასე ამ რიგათ შეცომის არავის არ დაუთმობდა არავითარს საქმეში. კარგად ქართული კითხვა-გალობების მცოლე უყვარდა და ძალიან თავაზიანად ექცევოდა. როგორც ვიცით, უცელასაგან ცნობილს, სახელოვან ქართული გალო-ბის მცოლენეს ბ. აზრუნ დუმშაძეს პირველად იმისა. გან აქეს ნასწარები ქართული გალობა და შემდეგ სხვა-და-სხვა აღილებზედ დაუმთავრებია. როგორც მისი მოგეარე და მახლობელი ნათესავი, ანტონისას ხშირად დადიოდა მ. გიორგი, უყვარდა გალობის თქმა და გალობის მოსწავლებს ხშირად ათმევეინებ-და; ვისაც ნიჭი შეატყაბდა, იტყოდა: ეს ბიჭი იგარ-ებდოს. შეილი არ ყაედა, რადგან ძალიან მაღ-დაქრიცებულა.... ცხოვრება თეთი მონასტერში ქონდა; ყანას არ მუშაობდა, მაგრამ უსაქოდ ერთს წამსაც არ გააცენდა. იმისი სამუშაო იყო

მუდამ სასოფლო გზის კეთება, დღეს ერთს გააკეთებდა ხელ მეორეს, ზეგ მესამეს და ასე განუწყვეტლად მუშა-ობდა. გზის მუშაობაზე არც მრევლს და არც სხვას არ მოიხმარებდა, თეოთონ მუშაობდა. სალილისთვის ხან ერთ მც მც მტკელთაგანს შეუთვლიდა დაკავინის პირით მჭადი და ღვინო გამომიგზაურ და ხან მეორეს. არ იფიქროთ კი რომ ეითონ ვისმეს წყენოდა მისგან რისიმე თხოვნა; პარიქით მოხარულიც იყვნენ. უთუ-ოდ რასაც შეუთვლიდა, ის უნდა გამოეგზავნათ და აჩა სხვა. მაგალითად: „შეძლი და ღვინო გამომიგ-ზენეო“, ზედ კარგათ გაკეთებული ქათამიც რომ გამოყოლებით, ძალიან საყვედურს ეტყოდა და შემდეგ არასოდეს აღარ თხოვდა რასმეს. სამაგი-როდ მ. გიორგიმ არ იცოდა თავის მრევლთან მღვდელ-მოქმედებასთვის ფულების თხოვნა. ვარდი-ცვლებოდა მისი მრევლთაგან ვინმე თუ არა, ის ყვე-ლაფერ სამსახურს უკლებლივ შეუსრულებდა; მრევ-ლიც თავის შესახევდნ საწირავს თავის დროზე მა-ართმედა. თავისი მრევლის სამდიდრე და სიღარიბე აწინილი ქონდა, ზედ მეტის მიცემას ერავნი გაპე-დავდა, რადგან არც წაიღებდა და კიდევაც მისი შეძლების გაუზომლობისთვის საყვედურს ეტყოდა. მ. გიორგისაგან უბრალო საყვედურის თქმასაც ლეთის რისხეასავით ერიდებოდა ყველა. როდესაც მღვდელ-მოქმედებისთვის ფულს მიართმევდნ, ხშირად ასე იქცეოდა: რა არის შეილო მაგ? — აგი მამაჩემის სა-წირავია. — რამდენია შეილო? — ერთი თუმანი გახ-ლავს, მიუვებდა გლეხი! — დათვალე! — დათვლილია, ბატონი. — დათვალე მეტქი, ყაბახ (ასე უცბათ გა-ამჯავრებდა მისინათქეამის აღუსრულებლობა!) — დათვ-ლიდა გლეხიც: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი. — კარგი, ახლა, გაჩერდი! მაგი ხუთი მანეთი შენ წაი-დე — არა ბატონი, მე თქვენ მოგართოთ. — ყაბახ, წაიღე მეტქი! მეყოფა მე აი ხუთი მანათი. თუ გინდა სხვას აწირენე, ვისაც გონდა.

ამგეარად იქცეოდა ცოტათი შეძლებულთან და შეუძლებელისაგან ხომ სულ არაფერს მიღებდა?

შემოქმედის მონასტერი სფგას მაღალს გორა-ზედ და ამ გორის ძირში ჩამოადის კარგა მოზრდი-ლი მდინარე ბჟუჯი; გაღმა-გამოლმ, მიმომსელელ-თათვის მიუცილებელია ბჟუჯზე ერთი ხეირიანი ხიდი, უხილოთ ამ მდინარეზე მიმოსელა შეუძლებე-

ლია; ამისთვის ყოველთვის ხიდია ზედ, მაგრამ ამ ხიდით მონასტერში მისელა ცოტათი შორს მორებას ითხოვს.

მ. გიორგი შეუდგა მეორე ადგილს ბჟუჯის წყალზე ხიდის გაკეთებას; ამ მხრიდან თუმცა ხიდის და გზის გაკეთება საძნელო იყო, მაგრამ მაინც არ შეუშინდა სიძნელეს, რადგან მოელი სოფელი სწუხ-და მონასტერში ყოველ წირეა-ლოცვაზე სიარულს გზის სიშორისა გამო. მოამზადა ყოველი სამზადისი, გაწევა ათხ-კუთხი ხის ჯარგვლები და ამაზე გმარ-თა ხიდის საძირკვლები ამაზედ გააფინა წაბლის სქელ-სქელი ფიცრები. ახლა საჭირო იყო მხოლოდ ჯარ-გვლების ქვით ამოესხდა. სადაც ეს ხიდი კეთდებოდა, იქ ჩამოდის აზურგეთში მიმავალი გზა; აქ მოგზა-ურთა მიმოსელი შეუწყვეტელია. მ. გიორგიც აქ მუშაობდა და როცა მგზავრი ჩამოიარდა, დაუძა-ხებდა:

— აქ მოდი, მამა, შენ.

— რა გნებას, ბატონ?

— ბატონოს თავი დაანებე (ბატონოს დაანებას საშინლად სწყელდა), მოდი და ერთი სამი ქა ჩაგდე ამ ჯარგვალში! მეზავრიც სიამოენებით აუსრულებდა თხოვნას, მაგრამ ზოგი მოგზაური მეოთხე ჯერაც დაიწყებდა ქვის მოტანას და მ. გიორგი კი გაუჯა-ვრდებოდა: წალი, ძმაო, შენს გზაზე, საქმე არა გაქო?! სამი ქეის ჩაგდება გითხარი და არა თხხისო. ზოგი-ერთი ახალგაზდები მანემდის არ მოშორდებოდებ ქვის ზიღვას, სანემ არ გააჯავრებდენ. ამ ხიდის გამოით ქვის კლდე იყო გასაჭერი, რისთვისაც საჭი-რო იყო ლალუში და წამლით დანტვრევა. მ. გიორ-გის წამალი არ ქონდა და ამ დროს შემოქმედის მონასტერში ახლად დანიშნული ქუთაისის გუბერნა-ტორი ლევაშევი ჩამობრძანდა. მ. გიორგიმ მიმართა ერთს იქაურს მწერალს და სთხოვა არზის დაწერა, რომლითაც უნდოდა გუბერნატორისთვის ერთი ფუთი წამლის თხოვა გზისთვის. მწერალმა თხოვნა დაუწე-რა და შემდეგ მ. გიორგის გაღუთარებმნა. მ. გიორგი ხომ არ მოერიდებოდა იმას და ასე უთხა: ვინ გითხრა შენ დაწერეო: უბრწყინვალესო, ჯვრებია-ხიდი, უხილოთ ამ მდინარეზე მიმოსელა შეუძლებე-

ნო, ჩინიანო, პომილიკი, პიპიშნიკოვი, შენწერა
ან გორდიათ (მ. გიორგის, შეტეტი, ერთი სიცუ-
ყაც ან უუკარდა); თუ შეგიძლია ასე დაწერეთ: მ.
გუბერნატორი, შენი აქ მასელა გამიხარდა, იმის-
თვის, რომ გზას ვაკეთებ და ერთი ფუთი წამალი
შეიძინა და იმდინა, მომცემ.

— მ. გიორგი ხელი მაინც მოაწერე ამ ქა-
ლალდს, უთხრა მწერალმა.

— რა საჭიროა, რომ მნახაეს, ვერ მიყითხაეს,
თუ უნდა! უთხრა მ. გიორგიმ.

— სწორედ ასე უთარეშია მწერალსაც და დაუ-
წერია, როგორც მ. გიორგიმ უთხრა. მ. გიორგიმ თავის
ხელით მიაჩინა თხოვნა გუბერნატორს ასე უთხრა:
— გზისთვის მინდა და თუ მომცემ ვარეთ, და თუ არა
მშეიღობთ იყავი. ლევაშოვს გაუკვირდა ამ გვარად
დაწერილი თხოვნა, მაგრამ, როცა მისი გარემოება
უამბეს, განხიარულდა და ასე უთხრა მ. გიორგიმის: 1 ფუთ
წამალს მალე გამოგიგზავნით და თუ კიდევ დაგჭირდეს
გზისთვის წამალი, შენი ხელით დასწერე ქართულად,
ამ გვარად თხოვნა პირდაპირ მე გამომიგზავნე და წა-
მალს, რამდენსაც მთხოვ, გამოგიგზავნიო.

ამისთვის ძნელი საკეთებელი გზა, რასაკირეველია
ერთი კაცისგან მალე არ გაუკთებოდა. და ამიტომ
საქმე ნელნელა მიდიოდა.

ერთხელ, ასტყადა საშინელი წევიძები, შეუჯიბ
წყალი ისე აღიდლა მთებისგან დაქანებული ნიღერ-
საგან, რომ ნაპირებს გადასცდა და მთელს ჭალებს
მოვდეა.

შეტყობინებ მ. გიორგის წელის ზომაზე მეტი
აღიდება. რაღაც ჯერ დაუსრულებელი და დაუმაგ-
რებელი ხიდისთვის საშიშო იყო ასე დიდი წყალი,
ამისთვის მ. გიორგიმ დაიკავა კურთხევანი ხელში,
მიეიღო ხიდთან და დაწყო ლოცვა; მ. გიორგი თან
ლოცულობდა და თან ხიდს გარდახედავდა ხშირად,
თუ რა მდგომარეობაში იყო ხიდი! ულმობელმა
წყალმა მალე გამოკალა ხიდს ქვეშ ჯერ კიდევ
ქვით დაუშებელი ჯარებულები. მ. გიორგი შეჩერდა

ცოტი წანს. ძალიან ეწყინა და ბოლოს ასე სუჟექტი:
მ. შეჩერებულმა წყალმა კუუ მასწაელაო! აწი იგ
ნაირ ჯარებულებს ჩავდგამ, რომ თავის დღეში ვერ
გააქანონსო! ეს მაინც პლანი იყო, პლანიო!

მ. გიორგიმ იცოდა თავზე თათრული სარტყე-
ლის შამოხევება და იმაზე დიდი, ძალიან დიდი ფაფა-
ნავი ქუდის დახურეა. წელზედაც თათრული სარტყე-
ლი იცოდა.

როცა ანაფორა შემოაგვებოდა და შემთხვევით
ამ დროს მასცელა შეხედებოდა განსენებულ გურიის
ეპიკოპოსს ვაბრიელთან, მ. გიორგი ასე ეტყოდა
ყოველად სამღვდელო: ორი ანაფორა თუ გაქ, ერთი
მომეცი (როგორც ზეეითაც ეთქეით, მ. გიორგის
შედეტი სიტყვის თქმა არ უყრდნდა). ყოველად სამღვ-
დელოც იმ წამს მისცუმდა ანაფორას. ახალი წე-
წესის მიმდევარა არაფერში არ იყო და არც უყრდნდა. მხოლოდ ერთად ერთი ჩა იყო იმისი საყარე-
ლი ყველა ახლებში. ნაშენდებეს რომ შეხევრიდა
ყოველად სამღვდელოსთან მასცელა, როცა ყრელად
სამღვდელო ეტყოდა: მ. გიორგი, უსადილო იქნები,
სადილი მიიღოთვით; მ. გიორგი ასე ეტყოდა: სადილი
არ მიწდა და ჩას თუ მასმევ, კრები იქცებათ.

ზეერთი ხანი არ არის, რაც მ. გიორგი დუმიაქე
გარდაიცვალა; ექვსი, თუ შეიძიო წელიწადებზე მეტი
ან იქნება. მ. დიმიტრი ბაქრაძე მიიგან გამოაცემულ
წიგნი: («არქეოლოგიური მოგზაურობა გურიისადა
აჭარაში»). გამოც. 1878 წ.) მ. გიორგი დუმიაქე
90 წლისათ დაცხს და თუ ეს წიგნი: იმავე წელში
გამოცემულია, როცესაც მ. გიორგი დუმიაქე წარ-
გია. გაქრაძემ, სა უნდა გარდაცელების არა მაკ-
ლებ ასა წლია.

ღმერთმან ჰერმან, არმ მ. გიორგი დუმიაქეს
მსგავსი კეშმარიტი კაცი და მრევლითავის საყარე-
ლი მოძრეარი მრავალი გვეულებოდეს.

საუკუნოდ იყოს სსენება მისი.

რაყდენ ხენდაძე.

შემოსახული, რაც, რასაკირელია, გაზეთის ხარჯე
ურ აუკიდოდა. მე იმედი მეონდა, რაც გაზეთის
მოხვენელები ხალხში თან-და-თან უკელღებოდა და
